

სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ

სიხარულო, შვებავ, ლხინო,
ახლისა აკვნის გუშაგნო:
მზევ, შინ შემოდო!

თქვენ, სულსა აღნაგსა ახლად,
დაჰფრინვეთ თვალ მოუღულად!
მზევ, შინ შემოდო!

მე მისსა მშობელ ვენერას
დაუმღერ ტკბილსა "მზე შინას"!
მზევ, შინ შემოდო!

ვიმღერ, გალხენ, დ განისვენო,
ჩემო მაკრატლის გვირგვინო!
მზევ, შინ შემოდო!

ეჭვი ვის აქვს, მამა ვინც არს?
ჩემს ნაკერსა ვსცნობ ფრიად შორს!
მზევ, შინ შემოდო!

ნუ გწყინს, კარდო, ყვავილთ მეფევ,
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ,
მზევ, შინ შემოდო!

* გიორგი თუმანისშვილი, რომელიცა თავის ლექსებში იწოდება მუშაკად.

** "წალკოტი მრავალყვავილოვანი", ლექსების წიგნი, რომელიცა აქვნდა მას.

რა ვქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს.
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს!
მზევ, შინ შემოდო!

მარამ რაყიფთ ვმზერ შენთან როს
მწვენ, გულს მისმენ ცეცხლის უთოს,
მზევ, შინ შემოდო!

შენ სანთელი, მე ფარვანა!
დაე დაიწოს ბეჟანა!
მზევ, შინ შემოდო!

სიყვარულმა მათქმევინა,
თვარა მე ვინ, დ ლექსი ვინა?
მზეო, შინ შემოდო!

1834 წ.